

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის გამოწვევები ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ადმინისტრირების პროგრამის
მაგალითზე

შორენა კობალაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
(უმაღლესი განათლების ადმინისტრირების) მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

(უმაღლესი განათლების ადმინისტრირება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

“ როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

შორენა კობალაძე /შ.კობალაძე/

22.06.2018

აბსტრაქტი

საქართველოში სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის ზრდამ მნიშვნელოვანი გახადა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში არსებული სირთულების შესწავლა, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი პრობლემები, რომელიც ხელს უშლის ნაშრომზე მუშაობის პროცესს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს და გაანალიზოს უმაღლესი განათლების ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის გამოწვევები, ამ პროცესის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, არსებული პრობლემების გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს, რომელის ფარგლებშიც განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუ ორ ქვეჯგუფთან, უმაღლესი განათლების ადმინისტრირების პროგრამის 2017 წლის კურსდამთავრებულებსა და 2018 წლის დამამთავრებელ კურსზე მყოფ სტუდენტებთან.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, უმაღლესი განათლების ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში არსებული ხარვეზები, ნაშრომზე მუშაობის დადებითი ფაქტორები და ის სირთულები, რომელიც თან ახლავს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს.

ნაშრომი ემსახურება უმაღლესი განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში არსებული პრობლემების გამოვლენასა და მათ პრევენციას. ამას გარდა, კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციები დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტს სხვადასხვა საკითხის გაუმჯობესებაში, რომელიც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამაგისტრო ნაშრომი, უმაღლესი განათლების
ადმინისტრირების პროგრამა, სტუდენტი, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის
გამოწვევები, რეკომენდაცია, პრევენცია.

Abstract

Increasing the number of students enrolled in MSG programs in Georgia has made it important to study difficulties in the work of the master's work in order to avoid problems that prevent the proces of the work.

The purpose of the present paper is to study and analyze the challenges of working on master's work within the framework of the Higher Education Administration Program, positive and negative factors of the process, ways of solving existing problems and recommendations.

The work is based on the qualitative research method, in which the in-depth interview with two subgroups, graduates of the Higher Education Administration Program 2017 and students graduating in 2018.

As a result of the survey, the successful implementation of the work on the master's work in the framework of the Higher Education Administration Program, the positive factors of work and difficulties accompanied by the work on the master's work.

The work serves to identify and address the problems in the Master's work on the Higher Education Administration Program to prevent students from future higher education administration courses to avoid problems in the work of the master's work. In addition, the recommendations presented in the study will help the university to improve the various issues that play an important role in the work of the master's work.

Key search keywords: Master thesis, Higher education administration program, Student, Challenges to the Master's Work, Recommendation, Prevention.

მადლობა

მსურს მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც დამეხმარა კვლევის წარმატებით განხორციელებაში. პირველ რიგში, მადლობას ვუხდით გაწეული დახმარებისათვის, საუკეთესო თანამშრომლობისთვისა და თანადგომისათვის თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს თამარ ბრეგვაძეს.

ასევე მადლობას ვუხდით, კვლევაში ჩართულ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ადმინისტრირების 2017 წლის კურსდამთავრებულ და 2018 წლის დამამთავრებელ კურსზე მყოფ სტუდენტებს, კვლევის პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის.

მადლობას ვუხდით ჩემს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ხელის შეწყობისა და გამხნეებისათვის.